

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) 94-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 94. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

1. სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

ა) ადვოკატები;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;

გ) ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

დ) სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს სახელმწიფო ორგანო, იგი მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ ორგანოს წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი იმავე საქმეზე მიანიჭოს წარმომადგენლობის უფლებამოსილება იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ამ ორგანოში მსახურობს.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი